ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი (ENOC)

ბიუროს განცხადება

ბავშვის უფლებები COVID-19-ის პანდემიის დროს

2020 წლის აპრილი

მაშინ, როდესაც ყველანი ვცდილობთ, მოვერგოთ მსოფლიო მასშტაბით შექმნილ უპრეცედენტო სიტუაციას, ევროპის ბავშვთა ომბუდსმენები და კომისრები ახალი გამოწვევების წინაშე დგანან: როგორ გაგრძელდეს ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა ამჟამად, COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში.

მდგომარეობა, რომელიც სწრაფად ვითარდება, მასობრივად მოქმედებს ბავშვებზე ზოგადად და აუარესებს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას. **ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი** (ENOC) და მისი წევრები მონიტორინგს გაუწევენ როგორც ბავშვთა მდგომარეობას, ისე ადგილობრივი, ეროვნული და ევროპის სახელისუფლებო წარმომადგენლების პასუხებს იზოლაციისა და მის შემდგომ პერიოდში. განვაგრძობთ ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილებების გაზიარებას ბავშვებისა და მათი ოჯახების უსაფრთხოებისთვის, ასევე, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით (1989) და სხვა შესაბამისი, ადამიანის უფლებების ევროპული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გარანტირებული ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით.

ინფორმაცია და მონაწილეობა (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლები)

ვირუსმა არ იცის დისკრიმინაცია. როდესაც ქვეყნდება ოფიციალური განცხადებები, არ უნდა დაგვავიწყდეს ბავშვები, რადგან შექმნილი მდგომარეობა მათ ცხოვრებაზეც საგრძნობლად აისახება: გასაგები და ასაკის შესაბამისი ინფორმაცია გადამწყვეტი და აუცილებელია.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ზუსტი ინფორმაციის გავრცელებაზე, რაც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის და ახალგაზრდა პირებისთვის, დეზინფორმაციის საპირწონედ, რის მიმართაც ხშირად ახალგაზრდები მგრძნობიარენი არიან. ბევრმა ქვეყანამ მიიღო მოსახლეობისთვის შემზღუდველი ზომები. როდესაც ვაცნობიერებთ ამ ზომების მნიშვნელობას მოსახლეობის დაცვის კუთხით, ასევე აუცილებელია სპეციალური ღონისძიებების გატარება განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვებისთვის, რომლებსაც, უსაფრთხოებისა და ფიზიკური და ემოციური განვითარებისთვის, ოჯახის მიღმა დამატებითი მზრუნველობა სჭირდებათ.

ძალადობისგან დაცვა (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი)

არსებობს საფრთხე, რომ თვითიზოლაციამ, კარანტინმა და გადაადგილების შეზღუდვამ გაზარდოს ოჯახში ძალადობის რისკი და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვებზე. აქედან გამომდინარე:

- აუცილებელია, COVID-19 პანდემიის პერიოდში, გაიზარდოს ცნობიერება ძალადობის საკითხებზე, ფიზიკური დასჯის ჩათვლით, კონკრეტულად, საგანგებო სამსახურების ცხელი ხაზის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით და შესაბამისი საინფორმაციო პლატფორმების უზრუნველყოფით (სოციალური ქსელი, რადიო, ტელევიზია, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მეთაურების მიერ გაკეთებული განცხადებების დროს)
- აუცილებელია ბავშვთა ზრუნვის სფეროს იმ პროფესიონალების გამოკვეთა, ვისაც შეუძლია შესაბამისი მხარდაჭერის გაწევა
- მნიშვნელოვანია სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის, იმის გაცნობიერებით, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლა ბავშვთა ზრუნვისა და დაცვის სფეროში.

ჯანმრთელობის დაცვისა და განვითარების, სოციალური უსაფრთხოებით სარგებლობის და ცხოვრების ადეკვატური პირობების უზრუნველყოფის უფლება (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე, 26-ე და 27-ე მუხლები)

- აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მშობლებმა შეძლებისდაგვარად მაქსიმალური მხარდაჭერა უნდა მიიღონ. ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი რჩევებით და მხარდაჭერით ტელეფონის თუ სხვა პლატფორმის გამოყენებით
- განსაკუთრებით მოწყვლადმა ოჯახებმა უნდა ისარგებლონ საოჯახო შეღავათებით ან საკვებით, რაც აღარ არის ხელმისაწვდომი სკოლის სასადილოებში
- შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს საფრთხის შემცველ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, არასათანადო კვებისა და სიღარიბის სხვა საკითხებთან მიმართებით, რასაც ამწვავებს ამჟამინდელი კრიზისი.

განათლება (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლები)

ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი (ENOC) მიესალმება იმ ფაქტს, რომ ქვეყნების უმეტესობამ დანერგა შინ სწავლების პლატფორმა. განათლების უფლება ფუნდამენტური უფლებაა, საგანმანათლებლო სექტორმა და მთავრობამ უნდა შეაფასონ, თუ რამდენად აქვთ დაზარალებულ ოჯახებს შესაძლებლობა, უზრუნველყონ შინ სწავლებისთვის საჭირო გარემო და ამ ოჯახში მცხოვრებ ბავშვებს მხარდაჭერა გაუწიონ სწავლების პროცესში (ტექნიკის ნაკლებობა, ინტერნეტის არქონა, სახლიდან მომუშავე მშობლები, კითხვის არცოდნა, სწავლის დონესთან შეუსაბამობა და ა.შ.). შინ სწავლებამ დამატებითი ზეწოლა არ უნდა იქონიოს ოჯახებზე ამჟამინდელ მღელვარების გამომწვევ პერიოდში.

განსაკუთრებით გვაწუხებს COVID-19 კრიზისის გავლენა ბავშვებზე, რომლებიც იმყოფებიან ბავშვთა დაცვის სისტემაში, პროფესიონალების მზრუნველობის ქვეშ. შემზღუდველი ზომები და ამჟამინდელი მღელვარე კონტექსტი ამწვავებს ისედაც დაძაბულ მდგომარეობას და ასუსტებს ბავშვების თავისთავად მოწყვლად ჯგუფს. ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვებისთვის გარანტირებული უნდა იყოს განათლების მიღება, ზედამხედველობა და ხელმისაწვდომობა თავისუფალ დროს დაგეგმილ აქტივობებზე. აღნიშნულის გარდა:

- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე უნდა დაწესდეს ეფექტიანი კოორდინაცია და გავრცელდეს კოორდინატორების და რჩევის ხაზების საკონტაქტო ინფორმაცია
- მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი იყო შემდგომი სამოქმედო ზომების განგრძობადობა, რასაც ითხოვს ბავშვთა დაცვის გეგმა. შენარჩუნებული და უფრო მეტიც, გაძლიერებული უნდა იყოს ოჯახებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი მხარდამჭერი ზომები ან ბავშვთა ფსიქოლოგიური დახმარება, თუ საჭიროა, ვიდეო ზარებითაც
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვთა და მომუშავე პერსონალის დაცვა ზრუნვის ცენტრებისა და სახლებისთვის ყველა საჭირო პრევენციული აღჭურვილობის მიწოდებით (ნიღბები, თხევადი სადეზინფექციო გელი)
- აღნიშნულ პერიოდში ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაგები ინფორმაცია, განსაკუთრებით, რეფერალისა და ცხელი ხაზების შესახებ ბავშვებისთვის, მიმღები ოჯახებისა და პროფესიონალებისთვის
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ზრუნვაში მყოფ იზოლირებულ ბავშვებზე, რომლებიც მოთავსებული არიან სასტუმროებში
- სასამართლოს მიერ, ოჯახთან კავშირის უფლების გაცემის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გარანტირებული იყოს არასრულწლოვნის ოჯახთან კავშირი, მათ შორის, ვიდეო ზარების საშუალებითაც
- მნიშვნელოვანია, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დამატებითი დახმარება, მათთვის ბავშვებთან დაკავშირებით შესაბამისი გამოსავალი გზების მიწოდებით ან მათი ფსიქოლოგიური მხარდაჭერით
- ბავშვთა დაცვის სისტემის შემსუბუქების მიზნით, არცერთი ბავშვი არ უნდა დაბრუნდეს ოჯახში მუდმივად. მნიშვნელოვანია, თითოეული შემთხვევის სრულად შეფასება და არსებული მოთხოვნების დაცვა
- უმნიშვნელოვანესია დაინფიცირებული ბავშვის იზოლირება შესაბამის ადგილას. უნდა შემუშავდეს გასაგები ინსტრუქციები და პროტოკოლი
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს განგრძობადი მხარდაჭერა ზრუნვის სისტემაში მყოფი, სრულწლოვანების ასაკს მიღწეული პირებისთვის.

აუცილებელია, შესაბამის მიმღებ ცენტრებში ხელმისაწვდომი იყოს თავშესაფარი როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ისე თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნებისთვის. შენარჩუნებული უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციების საველე აქტივობები, ხოლო იქ მომუშავე პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ აუცილებელი დამცავი აღჭურვილობით. დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას და ხელმისაწვდომი გახდეს უსაფრთხო თავშესაფარი ქუჩაში მცხოვრები თითოეული ბავშვისა და ოჯახისთვის.

საერთაშორისო ფრენების მკაცრი შეზღუდვის პირობებში, უახლოეს პერიოდში, შეუძლებელია მიგრანტების, მათ შორის, საიმიგრაციო ცენტრებში ან მომლოდინეთა ზონებში განთავსებული თავშესაფრის მაძიებლების უკან დაბრუნება. ამასთან, დაკავების ზომებს აღარ აქვს სამართლებრივი საფუძვლები, რადგან დაკავება შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებლად უკან დაბრუნების შემთხვევაში. ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი მუდმივად და

ცალსახად ეწინააღმდეგებოდა საიმიგრაციო სტატუსის საფუძველზე ბავშვთა ნებისმიერი ფორმით დაკავებას, მათ შორის, როგორც უკანასკნელ ზომასაც კი[1]. ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი წუხს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მიგრანტი ბავშვები და მათი ოჯახები კვლავ დაკავებულები არიან, რაც ამ მდგომარეობაში საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო მათი და მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობისთვის, არამედ, არის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ბავშვის საერთაშორისო სამართლით დაცული უფლებების დარღვევა (კონკრეტულად, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2, მე-3, 37-ე მუხლები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლები).

დედების ზოგიერთმა გაერთიანებამ მიუთითა, რომ ქალებს, COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, უარს ეუბნებიან მშობიარობის დროს თანმხლებ პირებზე. რადგანაც მომავალი დედის ემოციური უსაფრთხოება მისი და ბავშვის კარგად ყოფნისთვის, მნიშვნელოვანია, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რათა ქალები, მშობიარობისას, უზრუნველყოფილი იყვნენ თანმხლები პირებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვის ადრეულ განვითარებაზეც. ახალგაზრდა დედებმა მხარდაჭერა უნდა მიიღონ პირველივე თვეებში. აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნეს ზრუნვის განგრძობადობა, აუცილებლობის შემთხვევაში, კონტექსტთან ადაპტირებულად, ახალდაბადებულის განვითარებისთვის.

ვაღიარებთ რა ადამიანის სიცოცხლისა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, ასევე, ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების აუცილებლობას იმ გამოწვევების გადასაჭრელად, რაც მოჰყვა პანდემიას, ამასთან, აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, იცნობს ადამიანის უფლებებში ჩარევის შესაძლებლობას გადაუდებელი შემთხვევების საპასუხოდ, აღნიშნული ღონისძიება ძალიან ფრთხილ მიდგომას მოითხოვს და მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ის არსებული გადაუდებელი მდგომარეობის პროპორციული ზომაა.

ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი, მოუწოდებს მთავრობებს, ევროკავშირს და ევროსაბჭოს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში უზრუნველყონ, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარებით გარანტირებული, ბავშვთა უფლებების გათვალისწინება.

[1] http://enoc.eu/wp-content/uploads/2019/10/ENOC-statement-on-ending-child-immigration-detention-FV.pdf მიღებულია ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელის 23-ე გენერალური ასამბლეის მიერ, 27 სექტემბერი, 2019